



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1012  
24/05/2018

ქალაქი ბათუმი

1012-05-4-201805240934



**„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 01 მარტს გაფორმებული №31 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდება) კონტროლის განხორციელებისათვის ინსპექტირების და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 მარტის №506 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მშენებლობის, ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის 2018 წლის 18 მაისის №1429-05 მოხსენებითი ბარათისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 01 მარტს გაფორმებული №31 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე (მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდება) კონტროლის განხორციელებისათვის ინსპექტირების და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 მარტის №506 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტიჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით მზა სასაქონლო ბეტონის მოწოდებაზე ინსპექტირებისა და ჩასატარებელი სამუშაოების მიღება -ჩაბარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი ქურიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) თამაზ მურადიშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თამაზ ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მშენებლობის ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

დ) დავით ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;

ე) ავთანდილ ზოიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ვ) გიორგი მახაჭაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი

ზ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში .

თ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში.

2. ბრძანების გაცნობა (მიწოდება) კომისიის წევრებზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა